საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საარჩევნო მანიპულაციების გავრცელებული ფორმები: თეორიული კლასიფიკაცია და პრაქტიკა



საარჩევნო მანიპულაციების გავრცელებული ფორმები: თეორიული კლასიფიკაცია და პრაქტიკა

თბილისი
2026

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

დოკუმენტის მიზნები და მეთოდოლოგია 5

საარჩევნო მანიპულაციების თეორიული ჩარჩო 6

I. ინსტიტუციური და სამართლებრივი მანიპულაციები საარჩევნო პროცესში 7

1. მანიპულაციები რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო კანონმდებლობასთან 7

2. საარჩევნო ოლქების საზღვრებით მანიპულაცია 9

3. საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო 10

II. ამომრჩევლის ნებაზე არაკეთილსინდისიერი ზემოქმედება 13

4. საინფორმაციო გარემოს კონტროლი და დეზინფორმაცია 13

5. ამომრჩევლის მოსყიდვა 14

6. საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება 16

7. ძალადობა, დაშინება და ზეწოლა 19

8. ხმის ფარულობა 21

III. მანიპულაციები კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცესში 24

9. მრავალჯერადი ხმის მიცემა 24

10. ხმების დათვლა და შედეგების შეჯამება 25

დასკვნა 27

შესავალი

დემოკრატიული არჩევნები სახალხო სუვერენიტეტის პრაქტიკული გამოხატულებაა, რომლის მეშვეობითაც, მოქალაქეთა პოლიტიკური ნება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურ წყაროდ გარდაიქმნება. პერიოდული და სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოფს პოლიტიკური ძალების მშვიდობიან კონკურენციას და ზღუდავს ძალაუფლების არალეგიტიმური კონცენტრაციის რისკს. თუმცა, ეს მექანიზმი შინაარსს კარგავს მაშინ, როდესაც არჩევნები ფორმალურად ტარდება, მაგრამ მისი ჩატარების პირობები, გარემო ან შედეგები რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ წინასწარ არის დამახინჯებული. შესაბამისად, თუ საარჩევნო პროცესი მოქალაქეებში არ იწვევს ნდობას, ეჭვქვეშ დგება არა მხოლოდ კონკრეტული შედეგი, არამედ მთელი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციაც.

საარჩევნო კეთილსინდისიერების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა. დეკლარაციის 21-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა ხალხის ნებისგან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და ნამდვილ არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.[1] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი[2] ამ სტანდარტს აზუსტებს და მას სავალდებულო სამართლებრივ ძალას ანიჭებს. პაქტი ასევე კრძალავს დისკრიმინაციას პოლიტიკური შეხედულების თუ სხვა ნიშნით და იცავს გაერთიანების თავისუფლებას, მათ შორის, პოლიტიკური პარტიის შექმნის, პარტიაში გაწევრიანებისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას.[3] გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით, ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას.[4]

ამრიგად, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არჩევნები არის არა მხოლოდ ფორმალური პროცედურა, არამედ პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების რეალური და თანასწორი ასახვა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს ის პრაქტიკები, რომლებიც საარჩევნო პროცესის სამართლიანობას საფრთხეს უქმნის.

---

[1] UN General Assembly, *Universal Declaration of Human Rights*, 10 December 1948, 217 A (III), Art. 21(3).

[2] UN General Assembly, *International Covenant on Civil and Political Rights*, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171, Art. 25.

[3] UN General Assembly, *International Covenant on Civil and Political Rights*, adopted by General Assembly Resolution 2200A (XXI), 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171, Arts. 2(1), 22 and 25; UN Human Rights Committee, *General Comment No. 25: The Right to Participate in Public Affairs, Voting Rights and the Right of Equal Access to Public Service*, CCPR/C/21/Rev.1/Add.7, 12 July 1996, para. 26.

[4] Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Art. 3.

დოკუმენტის მიზნები და მეთოდოლოგია

დოკუმენტში, ქართულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიმოხილულია საარჩევნო მანიპულაციების ყველაზე გავრცელებული ფორმები და განმარტებულია მათი შინაარსი. მანიპულაციის ფორმები კლასიფიცირებულია საარჩევნო პროცესის ეტაპების მიხედვით. განხილულია როგორც კენჭისყრის პროცესში უშუალოდ განხორციელებული და საარჩევნო შედეგებზე პირდაპირი ზეგავლენის მქონე მანიპულაციები, ისე ინსტიტუციურად შენიღბული პრაქტიკები, რომელთა იდენტიფიცირება და სამართლებრივი შეფასება ხშირად გაცილებით რთულია.

დოკუმენტი ეფუძნება თეორიულ-ანალიტიკურ და შედარებით კვლევით მიდგომას. ანალიზი ეყრდნობა საარჩევნო მანიპულაციების შესახებ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას, რომელიც საარჩევნო მანიპულაციას განიხილავს არა მხოლოდ როგორც სისხლისსამართლებრივ დარღვევას, არამედ როგორც პოლიტიკური კონკურენციის სტრუქტურულ დეფორმაციას.[5] ასევე, გაანალიზებულია საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების შეფასებები და საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპები, მათ შორის, რბილი სამართლის ინსტრუმენტები და კარგი პრაქტიკის დოკუმენტები.

კვლევა ეყრდნობა საარჩევნო ციკლის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, არჩევნები მრავალეტაპიანი პროცესია და არ შემოიფარგლება მხოლოდ კენჭისყრის დღით. იგი მოიცავს საარჩევნო წესების ფორმირებას, წინასაარჩევნო გარემოს, კენჭისყრის პროცესს, ხმების დათვლას, შედეგების შეჯამებასა და საარჩევნო დავების განხილვას. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, საარჩევნო დარღვევები არ განვიხილოთ იზოლირებულად, არამედ დავინახოთ, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილი, რომელიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ფორმით ვლინდება.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე დოკუმენტის მიზანი არ არის საარჩევნო მანიპულაციების ყველა თეორიული თუ პრაქტიკული ფორმის სრულყოფილი იდენტიფიცირება. მათი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ნაშრომის მიღმა რჩება არაერთი დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა, რადგან ანალიზის ფოკუსში მხოლოდ ყველაზე გავრცელებული, სტრუქტურული ხასიათის მანიპულაციებია.

[5] Sarah Birch, Electoral Malpractice, Oxford University Press, 2011.

საარჩევნო მანიპულაციების თეორიული ჩარჩო

საარჩევნო მანიპულაცია არის იმგვარი პრაქტიკა, რომელიც დემოკრატიული პროცესის სამართლიანობასა და არჩევნების ლეგიტიმურობას არსებითად აზიანებს. ის შეიძლება გამოვლინდეს როგორც პირდაპირი გაყალბების სახით, მაგალითად, როგორიცაა ბიულეტენების ჩაყრა, მრავალჯერადი ხმის მიცემა ან შედეგების შემაჯამებელი ოქმების მონაცემების შეცვლა, ასევე ისეთი ქმედებების სახით, რომლებიც ფორმალურად შეიძლება კანონსაწინააღმდეგო არ იყოს, მაგრამ არსებითად ამცირებდეს პოლიტიკური კონკურენციის სამართლიანობას. ასეთია, მაგალითად, მედიის სისტემური მიკერძოება, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლა, საარჩევნო ოლქების მიკერძოებული გადანაწილება, საარჩევნო ადმინისტრაციის ირიბი პოლიტიზაცია ან კანონმდებლობის ცვლილება კონკრეტული ძალის ინტერესების შესაბამისად.[6]

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში ტერმინი „საარჩევნო მანიპულაცია“ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მოიცავს როგორც საარჩევნო გაყალბებასა და დარღვევას, ისე საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების უფრო არაპირდაპირ, დახვეწილ და ინსტიტუციურად შენიღბულ ფორმებს, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს საარჩევნო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე. ვენეციის კომისიის[7] განმარტებით, „საარჩევნო პროცესი“ არ შემოიფარგლება ეროვნული კანონმდებლობით ვიწროდ განსაზღვრული საარჩევნო კამპანიის პერიოდით და უფრო ფართო დროით ჩარჩოს მოიცავს.[8]

აკადემიურ ლიტერატურაში საარჩევნო მანიპულაცია ხშირად განიხილება შეჯიბრებითი, ასევე, საარჩევნო ავტორიტარიზმის კონტექსტში.[9] უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო უფლებების პარტიული ნიშნით შეზღუდვისა და საარჩევნო კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფისგან სრულად არც ჩამოყალიბებული დემოკრატიებია დაზღვეული.[10] თუმცა, ჰიბრიდულ რეჟიმებში ეს პრობლემა განსაკუთრებით სისტემურ ხასიათს იძენს. ასეთ სახელმწიფოებში მმართველი პარტიები ხშირად ინარჩუნებენ ნომინალურად კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნების ფასადს. ამავე დროს ისინი, სხვადასხვა სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საინფორმაციო და ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენებით, მიზანმიმართულად ზღუდავენ რეალურ კონკურენციას და ცდილობენ საარჩევნო შედეგებზე არაკეთილსინდისიერი გავლენის მოხდენას.[11]

---

[6] Andreas Schedler, “Elections Without Democracy: The Menu of Manipulation,” *Journal of Democracy* 13, no. 2 (2002): 36–50; Sarah Birch, *Electoral Malpractice*, Oxford: Oxford University Press, 2011.

[7] ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად.

[8] Venice Commission, *Report on the Misuse of Administrative Resources during Electoral Processes*, CDL-AD(2013)033, 16 December 2013, para. 9.

[9] Steven Levitsky and Lucan A. Way, *Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War*, Cambridge: Cambridge University Press, 2010; Andreas Schedler, “Elections Without Democracy: The Menu of Manipulation,” *Journal of Democracy* 13, no. 2 (2002): 36–50.

[10] Pippa Norris, Why Elections Fail, Cambridge: Cambridge University Press, 2015, p. 11.

[11] Steven Levitsky and Lucan A. Way, *Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War*, Cambridge: Cambridge University Press, 2010.

I. ინსტიტუციური და სამართლებრივი მანიპულაციები საარჩევნო პროცესში

1. მანიპულაციები, რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო კანონმდებლობასთან

კანონმდებლობა საარჩევნო კონკურენციის ნეიტრალური ჩარჩო უნდა იყოს, რომელიც ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბარ, სამართლიან წესებს შესთავაზებს. თუმცა, მაშინ, როდესაც მმართველი ძალა ამ ჩარჩოს ფორმირებას საკუთარი არაკეთილსინდისიერი უპირატესობის შესაქმნელად იყენებს, კანონმდებლობა, ნეიტრალური მარეგულირებლის ნაცვლად, მანიპულაციის ინსტრუმენტად იქცევა. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი ფორმა ყოველთვის არ ნიშნავს დემოკრატიულ შინაარსს.

საარჩევნო წესების ცვლილება, თავისთავად, არ არის პრობლემური, რადგან საარჩევნო კანონმდებლობა შეიძლება საჭიროებდეს პერიოდულ გადახედვას პოლიტიკური სისტემის განვითარებასთან, საარჩევნო პრაქტიკაში გამოვლენილ გამოწვევებსა თუ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ცვლილებები მიიღება ვიწრო პარტიული ინტერესით, ფართო კონსენსუსის გარეშე, არჩევნებამდე მოკლე პერიოდში, რაც აზიანებს ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას, ან ზღუდავს არჩევნებზე დამოუკიდებელი დაკვირვების შესაძლებლობას. ვენეციის კომისიის საარჩევნო კარგი პრაქტიკის კოდექსის მიხედვით, ძირითადი საარჩევნო წესები სტაბილური უნდა იყოს და, როგორც წესი, არ უნდა შეიცვალოს არჩევნებამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე.[12]

საარჩევნო წესების შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ნორმის ტექსტს, არამედ მის პრაქტიკულ ეფექტს კონკრეტულ პოლიტიკურ გარემოში. წესი, რომელიც ერთ გარემოში სრულიად ნეიტრალური შეიძლება იყოს, სხვა პირობებში საარჩევნო გარემოს დისბალანსის წყაროდ იქცევა.[13] ამის თვალსაჩინო მაგალითია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა. იგი მრავალ დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმატებით ფუნქციონირებს და, თავისთავად, პრობლემური არ არის, თუმცა კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტში შეიძლება გახდეს სტრუქტურული უპირატესობის კონსოლიდაციის მექანიზმი ისეთი შედეგით, რომელიც სისტემის ნაკლოვანებებს გაცილებით სცილდება.

ასევე თვალსაჩინო მაგალითია საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის მკაცრი წესების შემოღება. თეორიულად, საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს ადმინისტრაციული, ლოგისტიკური ან სხვა მიზეზებით, მაგრამ, მასობრივი ემიგრაციის გათვალისწინებით, ეს შეიძლება მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პოლიტიკური მონაწილეობის ფაქტობრივ ბარიერად იქცეს.[14] მაგალითად, საქართველოში 2025 წლის დეკემბერში მმართველმა პარტიამ ახალი საარჩევნო კოდექსი დაამტკიცა, რომელშიც აღარ აისახა ნორმა, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ქვეყნის ფარგლებს გარეთ (დიპლომატიურ წარმომადგენლობებში) საარჩევნო უბ-

[12] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters*, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guideline II.2.b and Explanatory Report, para. 65.

[13] Sarah Birch, Electoral Malpractice, Oxford: Oxford University Press, 2011, p. 30.

[14] იქვე.

ნების გახსნის შესაძლებლობას აძლევდა.[15] ამ საკანონმდებლო ცვლილებებს მწვავე კრიტიკა მოჰყვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან.

საიას შეფასებით, ეს ინიციატივა არსობრივად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ არჩევნების საყოველთაობის პრინციპს, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების რეალური მონაწილეობა არჩევნებში.[16] სახელმწიფოს მხრიდან უფლების მიზანმიმართულ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს ლოგისტიკური და ფინანსური შესაძლებლობა უბნების გასახსნელად, თუმცა, ვიწრო პარტიული ინტერესების გამო, მოქალაქეებს ეს უფლება ერთმევათ. ამასთანავე, მასობრივი ემიგრაციისა და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების აქტიური როლის გათვალისწინებით, მათი პოლიტიკური იზოლაცია უგულებელყოფს კონსტიტუციურ ვალდებულებას, უცხოეთში მყოფი მოქალაქეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებაზე.[17]

მანიპულაციის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი ხშირად სწორედ ის წესებია, რომლებიც განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს ამომრჩეველი და ვინ – კანდიდატი.[18] კარგი პრაქტიკის კოდექსის თანახმად, კანდიდატთა რეგისტრაციის პირობები არ უნდა იქცეს პოლიტიკური მონაწილეობის შეზღუდვის ინსტრუმენტად,[19] ხოლო მოქალაქეს უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა, გარდა ობიექტურად დასაბუთებული და პროპორციული გამონაკლისებისა.[20] **საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, პასიური საარჩევნო უფლების არაპროპორციული და გაუმართლებელი შეზღუდვის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში მიღებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები. კონკრეტულად, კანონმდებლობით აიკრძალა პოლიტიკური პარტიის წევრობა იმ პირებისთვის, რომლებსაც, ე.წ. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან“ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულად ან ნაწილობრივ აქვთ მიღებული შემოსავალი. ეს შეზღუდვა ვრცელდება პერიოდზე – შემოსავლის მიღების ბოლო დღიდან 8 წლის კალენდარული ვადით.[21]**

არსებული სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში, სადაც პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობაა პარტიულ სიაში ყოფნა და ამავე პარტიის წევრობა, ხსენებული ნორმა სამოქალაქო

---

[15] „პარლამენტმა მესამე - საბოლოო მოსმენით, ახალი რედაქციის „საარჩევნო კოდექსის“ პროექტი დაამტკიცა”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2025 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/857558-parlamentma-mesame-saboloo-mosmenit-axali-redakciis-saarchevno-kodeksis-proekti-daamtkica/, განახლებულია: 31.05.2026.

[16] „საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/sazgvargaret-xmismicemis-upleba-saia, განახლებულია: 31.05.2026.

[17] იქვე.

[18] Andreas Schedler, “The Menu of Manipulation,” Journal of Democracy, Vol. 13, No. 2, 2002, p. 42.

[19] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters*, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guideline I.1.3.

[20] იქვე, Guidelines I.1.1.a–d.

[21] „საიას შეფასება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ინიციირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით“, გვ. 6, 2026 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GYLA.ge/posts/pfbid0eivmT4eg3uNXpfwjafCes99VuKxYYYW9db8R2gJCPhALDTdLd1tvSrviqAHdjYrzl, განახლებულია: 31.05.2026.

სექტორში დასაქმებულ პირებს, ფაქტობრივად, ართმევს არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის შესაძლებლობას. მსგავსი შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც პარტიული წევრობის აკრძალვას მხოლოდ იმ სპეციფიკური პროფესიებისთვის (მაგ. მოსამართლეები, თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალები) ითვალისწინებს, რომლებთან მიმართებითაც მკაცრი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს აუცილებელი პირობაა.

მანიპულაციას ხშირად ექვემდებარება წინასაარჩევნო კამპანიის მარეგულირებელი ნორმებიც - მედიის რეგულაციები, კამპანიის დაფინანსების წესები, პოლიტიკური რეკლამა და კამპანიისთვის ხელმისაწვდომი რესურსების განაწილების წესი. ამ სფეროების არაკეთილსინდისიერმა რეგულირებამ შეიძლება საარჩევნო კონკურენციის პირობები ერთ-ერთი სუბიექტის სასარგებლოდ დაამახინჯოს.[22]

გარდა ამისა, მანიპულაციის ობიექტი შეიძლება გახდეს ხმის მიცემისა და დათვლის სამართლებრივი საფუძვლები, როდესაც კენჭისყრის პროცედურები, ხმების დათვლის წესი ან საჩივრების განხილვის ვადები ისე იცვლება, რომ ერთ პოლიტიკურ ძალას ეხმარება ან მის კონკურენტებს აზიანებს.[23]

ამრიგად, საარჩევნო კანონმდებლობით, მანიპულაციის შეფასებისას, მთავარი კითხვა უნდა იყოს - ქმნის თუ არა კონკრეტული ნორმა თანაბარ და სამართლიან პირობებს რეალური პოლიტიკური კონკურენციისთვის. ამასთანავე, საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის მიერ სამართლიანი არჩევნების პრინციპების დაცვა არსებითია, ვინაიდან მათი ეფექტიანი აღსრულების გარეშე საუკეთესოდ გაწერილი პროცედურებიც კი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას.

2. საარჩევნო ოლქების საზღვრებით მანიპულაცია

საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა მხოლოდ ტექნიკური ან ადმინისტრაციული საკითხი არ არის. ის პირდაპირ უკავშირდება ამომრჩევლის ხმის თანაბარ წონას, წარმომადგენლობის სამართლიანობას და ხმების მანდატებად გარდაქმნის საკითხს. ოლქების საზღვრებით მანიპულაცია შეიძლება გამოვლინდეს როგორც ამომრჩეველთა რაოდენობის მკვეთრ დისბალანსში, ისე საზღვრების ისეთ გადანაწილებაში, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას არაკეთილსინდისიერ უპირატესობას ანიჭებს. ამგვარი მანიპულაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმაა ე.წ. ჯერიმანდერინგი.[24]

ჯერიმანდერინგი განსაკუთრებით აქტუალურია მაჟორიტარულ და შერეულ საარჩევნო სისტემებში, სადაც მანდატების მოპოვება უშუალოდ უკავშირდება კონკრეტული ტერიტორიული ოლქების საზღვრებს. ამისგან განსხვავებით, იმგვარ პროპორციულ სისტემაში, სადაც მთელი ქვეყანა განეკუთვნება ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს და მასში ნაწილდება იმდენი მანდატი, რამდენი ადგილიცაა პარ-

[22] Andreas Schedler, "Elections Without Democracy: The Menu of Manipulation," *Journal of Democracy* 13, no. 2 (2002), p. 42.

[23] Sarah Birch, Electoral Malpractice, Oxford: Oxford University Press, 2011, p. 30; Andreas Schedler, "The Menu of Manipulation," Journal of Democracy, Vol. 13, No. 2, 2002, p. 42.

[24] ტერმინი „ჯერიმანდერინგი" უკავშირდება ელბრიჯ ჯერის (Elbridge Gerry) სახელს, რომელიც 1812 წელს მასაჩუსეტსის გუბერნატორი იყო. მისი მმართველობის პერიოდში დამტკიცდა საარჩევნო ოლქების ისეთი რუკა, რომელიც მმართველ პარტიას პოლიტიკურ უპირატესობას აძლევდა. ერთ-ერთი ოლქის უცნაური ფორმა სალამანდრას ჰგავდა, რის შედეგადაც, Gerry-ს გვარისა და სიტყვა salamander-ის შერწყმით გაჩნდა ტერმინი gerrymander. იხილეთ: https://www.britannica.com/topic/gerrymandering.

ლამენტში, კლასიკური ჯერიმანდერინგი პრაქტიკულად ვერ ხორციელდება, რადგან საარჩევნო შედეგზე გავლენას აღარ ახდენს ტერიტორიული ოლქების საზღვრების გადანაწილება. თუმცა, პროპორციული სისტემის ისეთი მოდელების შემთხვევაში, სადაც მანდატები რამდენიმე ტერიტორიულ მრავალმანდატიან ოლქში ნაწილდება, ოლქების საზღვრებსა და თითოეულ ოლქზე მანდატების რაოდენობას მაინც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ხმების მანდატებად სამართლიანად გარდაქმნისთვის.

ჯერიმანდერინგის შემთხვევაში, ფორმალურად ყველა ამომრჩეველი ინარჩუნებს ხმის მიცემის უფლებას, თუმცა ხმების ტერიტორიული განაწილება ისეა მოწყობილი, რომ ერთი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა მანდატებში მაქსიმალურად ეფექტიანად გარდაიქმნას, ხოლო მისი კონკურენტის ხმები „გაიფანტოს“, „დაიკარგოს“ და არაპროპორციულად ნაკლებ წარმომადგენლობაში აისახოს.[25] პრაქტიკაში, ჯერიმანდერინგი ორი ძირითადი ტაქტიკით ხორციელდება: 1) ამომრჩეველთა კონცენტრირება ერთ ან რამდენიმე ოლქში (packing) და 2) ამომრჩეველთა გაფანტვა მრავალ ოლქში (cracking). კონცენტრირება გულისხმობს კონკრეტული პოლიტიკური ძალის ან ამომრჩეველთა ჯგუფის მხარდამჭერების რამდენიმე ოლქში ხელოვნურად თავმოყრას. ასეთ ოლქებში ისინი დიდი უპირატესობით იგებენ, თუმცა მათი ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმომადგენლობის თვალსაზრისით, „ზედმეტად“ იქცევა, რადგან ეს ხმები სხვა ოლქებზე გავლენას ვეღარ ახდენს. დანაწევრების შედეგად კი, კონკრეტული ჯგუფის ამომრჩევლები მრავალ ოლქში ნაწილდებიან ისე, რომ ვერც ერთ მათგანში ვერ ქმნიან საკმარის უმრავლესობას. შედეგად, პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება მანდატების არაპროპორციულად დიდი რაოდენობა მიიღოს მაშინაც კი, როდესაც საერთო ხმებში მისი უპირატესობა მცირეა ან საერთოდ არ არსებობს.

საქართველოს კონტექსტში საარჩევნო ოლქების საზღვრებისა და ამომრჩევლის ხმის თანაბარი წონის საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაში.[26] სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ოლქების საზღვრებს ისე ადგენდა, რომ ირღვეოდა ამომრჩეველთა ხმების თანაბარი წონის პრინციპი. სასამართლოს განმარტებით, საარჩევნო უფლების განხორციელების ძირითადი მიზანი მოქალაქეთა ნების არჩევნების საბოლოო შედეგებში ასახვაა, შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, ერთი მხრივ, მოახდინოს საარჩევნო საზღვრებით მანიპულირების პრევენცია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს, რომ ამომრჩევლებს ჰქონდეთ არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენის თანაბარი შესაძლებლობა.

3. საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო

საარჩევნო პროცესის სამართლიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ინსტიტუტების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე, რომლებიც არჩევნების ადმინისტრირებას, კანონიერების ზედამხედველობასა და საარჩევნო დავების გადაწყვეტას ახორციელებენ. დემოკრატიულ არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო უნდა მოქმედებდნენ, როგორც ნეიტრალური და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომელთა ამოცანაა არა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ინტერესის

[25] Nicholas O. Stephanopoulos and Eric M. McGhee, “Partisan Gerrymandering and the Efficiency Gap,” *University of Chicago Law Review*, Vol. 82, Issue 2, Article 4, 2015, pp. 831–900.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დაცვა, არამედ საარჩევნო პროცესის კანონიერების, თანასწორობისა და სანდოობის უზრუნველყოფა.

საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზაცია შეიძლება გამოიხატოს კომისიების პარტიული ან არაბალანსირებული დაკომპლექტებით, გადაწყვეტილებების წინასწარ შეთანხმებით, საჩივრების შერჩევითი განხილვით, მტკიცებულებების იგნორირებით ან საარჩევნო ნორმების ისეთი ინტერპრეტაციით, რომელიც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს ანიჭებს არაკეთილსინდისიერ უპირატესობას. საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკური ნეიტრალობის მიმართ საზოგადოებრივი ნდობა მყიფეა.

ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობა გულისხმობს, რომ ამომრჩეველს, კანდიდატს ან საარჩევნო სუბიექტს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, გაასაჩივროს ხმის მიცემასთან, ხმების დათვლასთან, შედეგების შეჯამებასა ან საარჩევნო პროცესის სხვა მნიშვნელოვან ეტაპთან დაკავშირებული დარღვევა. ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსის მიხედვით, საარჩევნო დავების ეფექტიანი განხილვის ერთ-ერთი აუცილებელი გარანტია საარჩევნო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების საბოლოო სასამართლო კონტროლის შესაძლებლობაა.[27] თავის მხრივ, არსებითია, რომ გასაჩივრების პროცედურა იყოს მკაფიო, გამჭვირვალე და მარტივად გასაგები.[28]

საარჩევნო სამართლის ნორმების განმარტება უნდა ეფუძნებოდეს არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპებს - საყოველთაო, თანასწორ, თავისუფალ და ფარულ კენჭისყრას, ასევე, ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას. სწორედ ეს პრინციპები ეხმარება მოსამართლეს, საარჩევნო ნორმა განმარტოს არა იზოლირებულად, არამედ მისი დემოკრატიული დანიშნულების გათვალისწინებით.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და კომპეტენტურობას. საარჩევნო დავების გადაწყვეტისას მოსამართლის პროფესიული ღირსება გამოიხატება მის ვალდებულებაში, არ დაექვემდებაროს პოლიტიკურ ზეწოლას, არ მისცეს უპირატესობა რომელიმე საარჩევნო სუბიექტს და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კანონის, მტკიცებულებებისა და დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების საფუძველზე. ამავე სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მოქმედებაც.

საარჩევნო დავების მექანიზმების პოლიტიზაცია შეიძლება გამოვლინდეს საჩივრების ფორმალისტურ განხილვაში, პროცედურული ბარიერების შექმნაში, მტკიცების ტვირთის არათანაბარ გადანაწილებაში, მტკიცებულებების არასათანადო შეფასებასა ან კანდიდატთა რეგისტრაციის, შედეგების გაუქმებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე შერჩევითი მიდგომის გამოყენებაში.

თუ საარჩევნო ადმინისტრაცია ან სასამართლო აღიქმება, როგორც პოლიტიკური პროცესის მონაწილე და არა როგორც ნეიტრალური არბიტრი, საფრთხე ექმნება არა მხოლოდ კონკრეტული საჩივრის სამართლიან გადაწყვეტას, არამედ მთლიანად

[27] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters*, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guidelines II.3.3.a–c.

[28] Venice Commission, Report on Electoral Law and Electoral Administration in Europe: Synthesis Study on Recurrent Challenges and Problematic Issues, CDL-AD(2020)023, 8 October 2020, para. 237.

არჩევნების სანდოობას. შესაბამისად, ამ ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა საარჩევნო კეთილსინდისიერების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

ამ თვალსაზრისით, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური გარანტიების ანალიზისას, მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. კონკრეტულად, **ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების 5 წლის ვადით ასარჩევად დადგენილი კვორუმის საპარლამენტო უმრავლესობის დონემდე შემცირებამ და შესარჩევი საკონკურსო კომისიის ფორმირების უფლებამოსილების პარლამენტის თავმჯდომარისთვის გადაცემამ მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული პოლიტიკური ბალანსი.**[29] **ეს დინამიკა კიდევ უფრო განმტკიცდა მომდევნო საკანონმდებლო ცვლილებით, რომელმაც ცესკოში ორმესამედიანი კვორუმის არარსებობისას, იმავე სხდომაზე გადაწყვეტილების უბრალო უმრავლესობით (9 ხმით) მიღების შესაძლებლობა დაუშვა. ამ რეგულირებამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში *de facto* გამორიცხა ოპოზიციის ჩართულობა და მეტად გაამძაფრა ეჭვები საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის არაკეთილსინდისიერ გავლენებთან დაკავშირებით.**[30]

საიას საარჩევნო დავების ანგარიშში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული დავების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არაერთ შემთხვევაში თავს არიდებდა საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ეყრდნობოდა მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებებს და გადაწყვეტილებებს სათანადო სამართლებრივი დასაბუთების გარეშე იღებდა. ანგარიშში პრობლემურად შეფასდა სასამართლო განხილვის პრაქტიკაც, რომელიც ზედაპირულობითა და მტკიცების ტვირთის არათანაბარი გადანაწილებით ხასიათდებოდა. ამგვარი პრაქტიკა აჩვენებს, რომ საარჩევნო დავების სისტემა ყოველთვის ვერ ასრულებდა დარღვევებზე ეფექტიანი, მიუკერძოებელი და ნდობის აღმდგენი რეაგირების ფუნქციას.[31]

[29] „საიას საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია: წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში“, 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 47-49.

[30] იქვე.

[31] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საარჩევნო დავების ანგარიში: საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები“, თბილისი, 2025, გვ. 8.

II. ამომრჩევლის ნებაზე არაკეთილსინდისიერი ზემოქმედება

4. საინფორმაციო გარემოს კონტროლი და დეზინფორმაცია

ამომრჩევლის თავისუფალი არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მოქალაქეს შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პერიოდში მიიღოს მრავალმხრივი, სანდო და კრიტიკული ინფორმაცია პოლიტიკური სუბიექტების, მათი პროგრამებისა და ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს ნებისმიერი საკანონმდებლო თუ ბიუროკრატიული ბარიერი, რომელიც მედიასთან საარჩევნო სუბიექტების (როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე ინდივიდუალური კანდიდატების) თავისუფალ და არადისკრიმინაციულ წვდომას შეაფერხებს.[32]

მედიის კონტროლი შეიძლება გამოიხატოს: საზოგადოებრივი მაუწყებლის მიკერძოებულ გაშუქებაში, კერძო მედიასაშუალებების მფლობელთა პოლიტიკური კავშირებით განპირობებულ სარედაქციო პოლიტიკაში, პოლიტიკური რეკლამის დაფინანსების გაუმჭვირვალობაში, ასევე, კრიტიკულ ჟურნალისტებზე ფიზიკურ თავდასხმებში, მათზე სამართლებრივ ან ეკონომიკურ ზეწოლაში.

ტრადიციული მედია, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებელი, საარჩევნო პროცესის გაშუქებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესაბამისად, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობა და საარჩევნო კამპანიის სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქება ამომრჩევლის ინფორმირებული არჩევანის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა.[33] მედიამ არადისკრიმინაციულად უნდა გააშუქოს საარჩევნო კამპანია, განახორციელოს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების პროგრამის ანალიზი და შეასრულოს „საჯარო მაკონტროლებლის“ ფუნქცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხშირად ხაზგასმით მიუთითებს საარჩევნო კამპანიის დროს პლურალისტური მედიაგარემოს მნიშვნელობაზე, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტზე.[34]

არჩევნებზე ზეგავლენის კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდია საზოგადოებრივად მტკივნეული თემების პოლიტიკური ექსპლუატაცია. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები ხშირად მიმართავენ საინფორმაციო დღის წესრიგის მანიპულაციური მართვის სტრატეგიას. საარჩევნო კამპანიის პერიოდში ისინი მედიასივრცეს მათთვის ხელსაყრელი საკითხებით ავსებენ, რათა ამომრჩევლის ყურადღება ქვეყნის არსებითი გამოწვევებიდან პოლიტიკურად უფრო მომგებიან თემებზე გადაიტანონ. საქართველოში ამგვარი მეთოდის გამოყენების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ე.წ. „კარტოგრაფების საქმე». 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში „ქართული ოცნების» წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული მედიასაშუალებები აქტიურად ამახვილებდნენ საზოგადოების ყურადღებას ამ თემაზე.[35] კამპანიის ერთ-ერთ მთავარ სლოგანად იქცა „გარეჯი საქართველოა”, ხოლო „ქართული ოცნება” თავს წარმოაჩენდა, როგორც ძალა, რომელმაც „ნაციონალური

[32] OSCE, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE, Copenhagen, 29 June 1990, para. 7.8.

[33] Council of Europe Committee of Ministers, *Recommendation CM/Rec(2007)15 to member states on measures concerning media coverage of election campaigns*, adopted on 7 November 2007, Preamble.

[34] მაგალითად, იხილეთ, United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, 30 January 1998, § 44, Reports of Judgments and Decisions 1998-I).

[35] „გარეჯი საქართველოა!” - კარტოგრაფების საქმე არჩევნების შემდეგ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2020 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30930499.html, განახლებულია: 31.05.2026.

მოძრაობის" მიერ აზერბაიჯანისთვის სავარაუდოდ დათმობილი ტერიტორიების დაცვა შეძლო. აღსანიშნავია, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ მმართველი გუნდის ინტერესი ამ საკითხის მიმართ თითქმის მთლიანად გაქრა.[36]

თუ ტრადიციული მედიის კონტროლი ინფორმაციის ნაკადის უფრო ცენტრალიზებულ მართვას გულისხმობს, ციფრული დეზინფორმაცია ხშირად ვრცელდება გაუმჭვირვალე, ავტომატიზებული ან ძნელად იდენტიფიცირებადი ციფრული არხებით.[37] დეზინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს კანდიდატის ბიოგრაფიას, საარჩევნო პროცედურებს, ხმების დათვლის წესს, უცხოურ საფრთხეებს, გაყალბების წინასწარ ნარატივებს ან კონკრეტული ჯგუფების მობილიზაციას შიშის საფუძველზე.

საინფორმაციო გარემოზე ზემოქმედების თანამედროვე ფორმები სულ უფრო მეტად უკავშირდება ციფრულ პლატფორმებსა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს, რომლებიც საარჩევნო პროცესში მანიპულაციის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ვენეციის კომისიის 2024 წლის განმარტებითი დეკლარაციის მიხედვით, ციფრულ გარემოში ამომრჩევლის აზრის თავისუფალ ფორმირებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ ყალბი ინფორმაციის გავრცელებამ, არამედ deepfake აუდიო-ვიდეო მასალებმა, ავტომატურად გენერირებულმა კომენტარებმა, პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენებამ, ე.წ. მიკროტარგეტინგმა, საძიებო სისტემების რანგირების მექანიზმებმა, „ბოტებმა" და ონლაინ პოლიტიკური რეკლამის გაუმჭვირვალობამ.[38] ამასთანავე, საარჩევნო პროცესზე გავლენა შეიძლება იქონიოს იმანაც, თუ როგორ ანაწილებენ ციფრული პლატფორმები პოლიტიკურ კონტენტს და ხომ არ ანიჭებს ალგორითმული სისტემა არაპროპორციულ ხილვადობას რომელიმე პარტიას ან კანდიდატს. ამიტომ, ვენეციის კომისიის მიდგომით, ონლაინ პოლიტიკური რეკლამა მკაფიოდ იდენტიფიცირებული უნდა იყოს. გამჭვირვალე უნდა იყოს მისი დამფინანსებელი და გავრცელების ტექნიკა, ხოლო ინტერნეტპლატფორმებს უნდა ეკისრებოდეთ პოლიტიკური რეკლამისა და მისი სპონსორების შესახებ ინფორმაციის სისტემური გამჟღავნების ვალდებულება.[39]

ამდენად, საინფორმაციო გარემოზე ზემოქმედება თანამედროვე პირობებში აღარ შემოიფარგლება ტრადიციული მედიის მიკერძოებით. იგი შეიძლება განხორციელდეს ციფრული პლატფორმების, ალგორითმული ხილვადობისა და ხელოვნური ინტელექტის საშუალებითაც.

5. ამომრჩევლის მოსყიდვა

ამომრჩევლის მოსყიდვა წინასაარჩევნო მანიპულაციის ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი და გავრცელებული ფორმაა. მისი მიზანია ამომრჩევლის პოლიტიკური ნების ფორმირებაზე გავლენის მოხდენა კენჭისყრამდე, რათა საბოლოო არჩევანი მატერიალური ან სხვა სახის სარგებლის, სანაცვლო მოლოდინის ან დამოკიდებულების პირობებში ჩამოყალიბდეს.[40]

---

[36] ლიკა ჩხეტიანი, „არჩევნები ჰიბრიდულ რეჟიმებში: დემოკრატიის ილუზია თუ დემოკრატიზაციის რეალური შანსი?», სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2024.

[37] Venice Commission, Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines, Explanatory Report and Interpretative Declarations, Council of Europe, 2025, Interpretative Declaration on Digital Technologies and Artificial Intelligence, para. 32.

[38] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines, Explanatory Report and Interpretative Declarations*, Council of Europe, 2025, Interpretative Declaration on Digital Technologies and Artificial Intelligence, paras. 28–32.

[39] იქვე, paras. 41–43.

[40] Sarah Birch, *Electoral Malpractice*, Oxford: Oxford University Press, 2011, p. 31.

ამომრჩევლის მოსყიდვის რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ ჯგუფებთან მიმართებით, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა ან სოციალური უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს, ადგილობრივი ხელისუფლების ან პოლიტიკური პატრონაჟის ქსელებზე.[41] ასეთ პირობებში ფულადი თანხის, სოციალური დახმარების, დასაქმების, ვალის ჩამოწერის, საკვების, ვაუჩერის ან სხვა მატერიალური სიკეთის შეთავაზება ხშირად პირდაპირ უკავშირდება ამომრჩევლისგან კონკრეტული საარჩევნო ქცევის მოთხოვნას - ხმა მისცეს კონკრეტულ პარტიას, ან თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

ამომრჩევლის მოსყიდვის აკრძალვა ქართულ კანონმდებლობაში რამდენიმე ნორმატიულ დონეზეა მოწესრიგებული. საქართველოს საარჩევნო კოდექსის რეგულაციები ვრცელდება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდზე,[42] ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონი - არასაარჩევნო დროზეც.[43] ამომრჩევლის მოსყიდვისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.[44]

ამომრჩევლის მოსყიდვა ერთ-ერთი პრობლემური და ძნელად დასადასტურებელი დარღვევაა, რადგან მისი გამჟღავნება ქმედებაში მონაწილე არცერთი მხარის ინტერესში არ არის.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ანდა მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მეშვეობით განახორციელებს ამომრჩევლის მოსყიდვას, ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, უუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია.[45] ნიშანდობლივია, რომ ნორმის პრაქტიკული გამოყენება, სტრუქტურული და საპროცესო ხასიათის დაბრკოლებების გამო, პრობლემატურია, რადგან მოსყიდვის ფაქტს (რომელიც, თავისთავად, რთული დასადგენია) და საარჩევნო სუბიექტს შორის უტყუარი კავშირის დადგენა ფაქტობრივად წარმოუდგენელია სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების ex officio ქმედებების, დავების განხილვის შემჭიდროებული ვადების პირობებში და მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის ჯეროვნად გამოყენების გარეშე.

საქართველოს კონტექსტში ამომრჩეველზე მატერიალური ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გამოცხადებული ვალების ჩამოწერის პროგრამა შეიძლება დასახელდეს. არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ 600 000-ზე მეტ მოქალაქეს დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარის ოდენობის ფინანსური ვალდებულება ჩამოეწერებოდა. პროგრამის განხორციელება უკავშირდებოდა კერძო ფონდს, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარესთან იყო დაკავშირებული.[46] ვალების ჩამოწერის პროგრამა განსაკუთრებით პრობლემურად აღიქმებოდა მისი მასშტაბის, დროისა და პოლიტიკური

[41] Tristan A. Canare, Ronald U. Mendoza and Mario Antonio Lopez, "An Empirical Analysis of Vote Buying among the Poor: Evidence from Elections in the Philippines," *South East Asia Research* 26, no. 1 (2018)

[42] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[43] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 25^2-ე მუხლი.

[44] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლი.

[45] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[46] „ვალების ჩამოწერა ხმების ყიდვის ფორმად შეფასდა" - ეუთოს დასკვნა 2018 წლის არჩევნებზე", საინფორმაციო პორტალი „bm.ge", 2019 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/valebis-chamowera-xmebis-yidvis-formad-shefasda--eutos-daskvna-2018-wlis-archevnebze/30551, განახლებულია: 31.05.2026.

კონტექსტის გამო: იგი შეეხო ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს და გამოცხადდა უშუალოდ არჩევნების მეორე ტურამდე მცირე ხნით ადრე. ასეთ ვითარებაში მატერიალური სარგებელი შეიძლება აღქმულიყო არა როგორც ნეიტრალური სოციალური პოლიტიკის ნაწილი, არამედ როგორც მმართველ ძალასთან დაკავშირებული პოლიტიკური სიკეთე, რაც ამომრჩეველში მადლიერების, დამოკიდებულების ან სანაცვლო ლოიალობის განცდას აჩენს.

OSCE/ODIHR-ის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შეფასების საბოლოო ანგარიშში ეს ინიციატივა სწორედ ხმების ყიდვის შესაძლო პრაქტიკის კონტექსტშია განხილული, რადგან საარჩევნო პროცესში ჩართული არაერთი აქტორის შეფასებით, ის ამომრჩეველთა მოსყიდვის ფორმად აღიქმებოდა.[47]

ეს ნათლად აჩვენებს, რომ კონკრეტული ღონისძიების/ქმედების ამომრჩევლის მოსყიდვის ფორმალურ სამართლებრივ შემადგენლობაში მოქცევა შეიძლება სათუო იყოს, თუმცა მისი მასშტაბი, განხორციელების დრო, პოლიტიკური კონტექსტი და ამომრჩეველზე შესაძლო ზემოქმედება არსებითად აზიანებდეს საარჩევნო კეთილსინდისიერების პრინციპებს.

6. საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება

ვენეციის კომისიის შეფასებით, თანამედროვე ევროპული დემოკრატიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სტრუქტურული გამოწვევა საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენებაა.[48]

„ადმინისტრაციული რესურსის“ ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო ფინანსებით და მოიცავს იმ რესურსებსაც, რომლებიც გამომდინარეობს საჯარო თანამდებობიდან, ან განკუთვნილია ფართო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის.[49] კონკრეტულად, ამ ცნებაში შედის ადამიანური, ფინანსური, მატერიალური და არამატერიალური საშუალებები, რომლებიც საჯარო თანამდებობისა და სახელმწიფო მართვის ბერკეტებიდან გამომდინარეობს და, შესაძლოა, საარჩევნო პროცესში პოლიტიკური უპირატესობის მისაღებად იყოს გამოყენებული.[50] მაგალითად, საჯარო თანამდებობის პრესტიჟულობაც ადმინისტრაციული რესურსის ცნებაში მოიაზრება. სწორედ აქედან გამომდინარე, შეიძლება პრობლემური იყოს მოქმედი სახელმწიფო თანამდებობის პირების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.[51]

ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე

---

[47] OSCE/ODIHR, *Georgia, Presidential Election, 28 October and 28 November 2018: ODIHR Election Observation Mission Final Report*, Warsaw, 28 February 2019, p. 28.

[48] Venice Commission and OSCE/ODIHR, Joint Report on the misuse of administrative resources during electoral processes, CDL-AD(2020)007, adopted by the Council for Democratic Elections at its 68th meeting (Venice, 18 June 2020).

[49] „საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და აღკვეთა“, გვ. 9, Council of Europe, 2021 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/-/1680a4e1d4, განახლებულია: 31.05.2026.

[50] European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *Report on the Misuse of Administrative Resources during Electoral Processes*, CDL-AD(2013)033, Strasbourg, 16 December 2013. საიას სადამკვირვებლო მისიის ანგარიშებში ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ფაქტები ასახულია როგორც 2020 წლის საპარლამენტო, ისე 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში.

[51] იქვე.

მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N1 ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა.[52]

ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ისეთი ფორმები, როგორიც არის: სახელმწიფო ან მუნიციპალური შენობების, ტრანსპორტის, ტექნიკური საშუალებების, ოფიციალური კომუნიკაციის არხების, საჯარო მოხელეთა სამუშაო დროისა და საჯარო ინსტიტუტების ორგანიზაციული შესაძლებლობების საარჩევნო კამპანიაში ჩართვა, შედარებით მარტივად ექცევა სამართლებრივი შეფასების ჩარჩოში, რადგან ისინი პირდაპირ აჩვენებს საჯარო რესურსის პარტიული ინტერესისთვის გამოყენებას.

თუმცა ადმინისტრაციული რესურსის პრობლემა მხოლოდ ასეთი აშკარა ფორმებით არ ამოიწურება. უფრო ფართო თვალსაზრისით, იგი უკავშირდება სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ინსტიტუციური ზღვრის მოშლას. საარჩევნო მარათონის დროს სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო მმართველი პარტია უნდა მოქმედებდეს, როგორც საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი მონაწილე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციას კონკურენციაში შესვლა უწევს არა მხოლოდ კონკურენტ პოლიტიკურ პარტიასთან, არამედ მთლიან სახელმწიფო აპარატთან.

სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის გამიჯვნის პრინციპი აღიარებულია ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტითაც. დოკუმენტის 5.4. პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების მკაფიო გამიჯვნა, რათა პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოსთან არ გაიგივდნენ.[53] ამ პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან მმართველ პარტიას, ხელისუფლებაში ყოფნის გამო, ბუნებრივად აქვს წვდომა ისეთ ადამიანურ, ფინანსურ და ინსტიტუციურ რესურსებზე, რომლებიც სხვა საარჩევნო სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

სახელმწიფოს, მათ შორის საარჩევნო წელსაც, აქვს უფლება და ვალდებულება, განახორციელოს სოციალური, ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული პროექტები. პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ასეთი პროექტების დრო, ფორმა ან პოლიტიკური კომუნიკაცია ისე ებმის საარჩევნო კამპანიას, რომ მოქალაქემ კონკრეტული საჯარო სიკეთე შეიძლება აღიქვას არა როგორც სახელმწიფოს ნეიტრალური ფუნქციის შესრულება, არამედ როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის კეთილი ნება. შედეგად, საჯარო რესურსი შეიძლება იქცეს პოლიტიკური მადლიერების, დამოკიდებულების ან სანაცვლო ლოიალობის ფორმირების საშუალებად. ამ თვალსაზრისით, ასეთი პრაქტიკა ფუნქციურად უახლოვდება ამომრჩევლის მოსყიდვის ლოგიკას: ორივე შემთხვევაში ამომრჩევლის მხარდაჭერა შეიძლება ჩამოყალიბდეს არა თავისუფალი პოლიტიკური არჩევანის, არამედ მიღებული ან მოსალოდნელი სარგებლის მიმართ ვალდებულების განცდის საფუძველზე.

საქართველოში ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება წლების განმავლობაში რჩება საარჩევნო პროცესის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. განსაკუთრებით პრობლემურია საარჩევნო პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის - სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების მობილიზება და ჩართვა პარტიულ აქტივობებში.[54] ეს პრობლემა ეხება არა

[52] იქვე.

[53] OSCE, *Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE*, Copenhagen, 29 June 1990, para. 5.4.

[54] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევ-

მხოლოდ სკოლებს, არამედ მუნიციპალურ იურიდიულ პირებსაც, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე მსხვილ დამსაქმებლებს განეკუთვნებიან და, შესაბამისად, მმართველი პარტიისთვის საარჩევნო მობილიზაციის მნიშვნელოვანი ბერკეტები ხდებიან.[55] 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებსაც აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ, თუმცა ამ რეგულაციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ პრობლემურია.[56]

აღსანიშნავია, რომ საჯარო ორგანოების მიერ გაფორმებული ტენდერები შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს შემდგომში კომპანიებისა თუ მათთან დაკავშირებული პირების მიერ პარტიული შემოწირულობების განსახორციელებლად.[57] მაგალითად, სერბეთში „ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებიც ჩართულნი არიან საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებულ საქმიანობაში, სერბეთის რესპუბლიკის ორგანოებთან, ავტონომიურ პროვინციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე, მათ მიერ დაფუძნებულ საჯარო სამსახურებთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, ამგვარი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მათი დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში, ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიის დაფინანსება.[58] ანალოგიური ჩანაწერი არსებობს მონტენეგროს კანონმდებლობაშიც.[59]

მსგავსი პრობლემა აქტუალურია საქართველოს შემთხვევაშიც, რაზეც მიუთითებს მმართველი პარტიის შემომწირველებსა და სახელმწიფოს რესურსებზე წვდომას შორის შესაძლო კავშირის შესახებ გავრცელებული მონაცემები. **მაგალითად, 2026 წლის იანვარ-მარტში „ქართულ ოცნებას“ 73-მა შემომწირველმა ჯამში 2.6 მილიონი ლარი გადაურიცხა.[60] ამავე მონაცემების მიხედვით, შემომწირველებთან დაკავშირებულმა 37-მა კომპანიამ 2015 წლიდან დღემდე 521 მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ტენდერები მოიგო; გარდა ამისა, მათ მიიღეს 49.7 მილიონი ლარის გამარტივებული შესყიდვები, 4 მილიონი ლარის აგროსუბსიდია, 169 ათასი კვ.მ-ის სამშენებლო ნებართვა და წიაღისეულის მოპოვების 12 ლიცენზია.[61]ასეთი მონაცემები აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს პოლიტიკური დაფინანსების, სახელმწიფო რესურსებზე არათანაბარი წვდომისა და პოლიტიკური პატრონაჟის შესაძლო მექანიზმების შესახებ.** ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარჩევნო კეთილსინდისიერების შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალური შემოწირულებების კანონიერება, არამედ ისიც, ხომ არ ქმნის პარტიული დაფინანსებისა და სახელმწიფო სარგებლის ასეთი თანხვედრა მმართველი პარტიისთვის სტრუქტურულ და ფინანსურ უპირატესობას.

ნების სადამკვირვებლო მისია: წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, თბილისი, 2025, გვ. 73-74.

[55] იქვე.

[56] ლაცაბიძე მ. და სხვები, „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, გვ. 65.

[57] „საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და აღკვეთა“, გვ. 38, Council of Europe, 2021 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/-/1680a4e1d4, განახლებულია: 31.05.2026.

[58] იქვე (პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების შესახებ კანონის მე-12 მუხლი).

[59] იქვე, გვ. 38-39.

[60] „2026 წლის იანვარ-მარტში „ქართულ ოცნებას“ 73-მა შემომწირველმა 2.6 მილიონი ლარი გადაურიცხა”, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფიციალური facebook-გვერდი, 2026 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/tigeorgia/posts/pfbid02UQECk7VzWCXM5R26ahnMYgvKQdz51Qj8kSeedr5PHWcToVzEMcC8ebQA5LAKFeNhl, განახლებულია: 31.05.2026.

[61] იქვე.

7. ძალადობა, დაშინება და ზეწოლა

დაშინება, მუქარა, ძალადობა და ზეწოლა საარჩევნო პროცესზე არაკეთილსინდისიერი ზემოქმედების ისეთი ფორმებია, რომლებიც საფრთხეს უქმნის როგორც ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოხატვას, ისე საარჩევნო კამპანიის თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვას. როგორც წესი, მსგავსი პრაქტიკები მჭიდროდ უკავშირდება ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების პრობლემას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზეწოლა საჯარო სექტორში დასაქმებული პირების ან სახელმწიფოზე დამოკიდებული ამომრჩევლების მიმართ ხორციელდება, ან როდესაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მსგავს ფაქტებზე დროულ, ეფექტიან და მიუკერძოებელ რეაგირებას არ უზრუნველყოფენ.

ამდენად, საარჩევნო კამპანიის სამართლიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ფორმალური წესების არსებობაზე, არამედ იმაზეც, უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო ისეთ გარემოს, სადაც პოლიტიკური კონკურენცია და ამომრჩევლის ნების ფორმირება ზეწოლისა და დაშინების გარეშე მიმდინარეობს.[62]

ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, მშვიდად გაეცნოს პარტიების პროგრამებს და არჩევანი გააკეთოს ყოველგვარი დასჯის შიშის გარეშე.[63] ძალადობრივი ინციდენტების გამოძიება უნდა იყოს მიუკერძოებელი, სწრაფი და გამჭვირვალე.[64]

დაშინებისა და ზეწოლის ფორმები მრავალფეროვანია: უბანთან მდგომი კოორდინატორების ან სხვა პირების მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვა, სამუშაო ადგილის დაკარგვის მუქარა, სოციალური დახმარების შეწყვეტის შიშის გაჩენა, ხმის ფარულობის სისტემური დარღვევა, ოპოზიციურ აქტივისტებზე ზეწოლა, ფიზიკური თავდასხმები, კამპანიის ღონისძიებებზე პროვოკაციული ჯგუფების მობილიზება, პარტიული ოფისების დარბევა ან საარჩევნო აქტორთა საქმიანობაში სხვაგვარი ძალადობრივი ინტერვენცია. ასეთი პრაქტიკა, შესაძლოა, პირდაპირ არ ცვლიდეს კენჭისყრის შედეგების ოქმს, თუმცა ზემოქმედებს ამომრჩევლის ქცევაზე, ზღუდავს პოლიტიკური კამპანიის თავისუფლებას და ამცირებს საარჩევნო გარემოს კონკურენტულობას.

ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაციისა და მაღალი საარჩევნო ფსონების პირობებში, დაშინება და ძალადობა ხშირად უშუალოდ სახელმწიფო ორგანოების ან მმართველი პარტიის ოფიციალური წარმომადგენლების მეშვეობით არ ხორციელდება. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება გამოყენებული იყოს არაფორმალური, პროქსი-ჯგუფები,[65] რომლებიც თავს წარმოაჩენენ „სპონტანურ“ მხარდამჭერებად, ადგილობრივ აქტივისტებად ან დამოუკიდებელ პირებად, თუმცა სინამდვილეში ოპოზიციური პარტიების, აქტივისტების, დამკვირვებლების ან ამომრჩევლების დაშინებასა და კამპანიის შეფერხებას ემსახურებიან. ამგვარი მოდელი განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან ართულებს ძალადობასა და კონკრეტულ პოლიტიკურ ან სახელმწიფო აქტორს შორის პირდაპირი კავშირის დადგენას, ამცირებს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას და ქმნის დაუსჯელობის გარემოს.

---

[62] UN Human Rights Committee, *General Comment No. 25: The Right to Participate in Public Affairs, Voting Rights and the Right to Equal Access to Public Service (Article 25)*, 57th sess., 1510th meeting, July 12, 1996, para. 17.

[63] OSCE, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE, Copenhagen, 29 June 1990, paras. 7.4 and 7.7.

[64] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), *Human Rights and Elections: A Handbook on International Human Rights Standards on Elections*, Professional Training Series No. 2/Rev.1, New York and Geneva, 2021, para 12.

[65] Sarah Birch, *Electoral Violence, Corruption, and Political Order*, Princeton: Princeton University Press, 2020, p. 89.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესის წარმატებით ჩატარებაში, საარჩევნო ადმინისტრაციის გარდა, გადამწყვეტი როლი ეკისრება პოლიციასა და უსაფრთხოების სექტორის სხვა ინსტიტუტებს. მათი საქმიანობა მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, საარჩევნო პროცესში ჩარევისგან თავის შეკავებას, არჩევნების დღეს სამართლიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.[66] ამ მიზნების მისაღწევად არსებითია დადგენილი ნორმების ეფექტიანი აღსრულება, სამართალდამრღვევთა გამოვლენა და მათთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება.

როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე არასათანადო რეაგირებას, შესაძლოა, არაერთი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. უსაფრთხოების არაადეკვატურმა დონემ შეიძლება ხელი შეუშალოს არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობას და მკვეთრად შეამციროს საზოგადოებაში საარჩევნო პროცესებისა და არჩევნების შედეგების მიმართ ნდობა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, არჩევნების შემდგომი არასტაბილურობის გამომწვევი ფაქტორი გახდეს.

2024 წელს წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს გამოვლინდა არაერთი ინციდენტი, რომლებიც უკავშირდებოდა ამომრჩევლებზე სავარაუდო ზეწოლას, ოპოზიციის მხარდამჭერებზე ძალადობას, მედიისა და დამკვირვებლებისთვის საქმიანობაში ხელის შეშლას.[67] ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიშში აღინიშნა, რომ ამ შემთხვევების უმეტესობაზე სამართალდამცავი ორგანოები არასათანადოდ რეაგირებდნენ, რაც ამომრჩეველთა ნდობის შემცირებას იწვევდა.[68] ეუთო/ოდირმა ასევე ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის შესახებ ცნობებზე, რომლებიც, განსაკუთრებით, საჯარო სექტორში დასაქმებულებსა და ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფებს ეხებოდა. ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ცნობების ფართოდ გავრცელებამ, ხოლო კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ინტენსიურმა აღრიცხვამ შექმნა დაძაბული გარემო და შეშფოთება იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა ზოგიერთი ამომრჩეველი ხმის მიცემას დასჯის შიშის გარეშე.[69]

საარჩევნო კონტექსტში ზეწოლისა და დაშინების პრობლემა სცდება ინდივიდუალური ხმის მიცემის თავისუფლების საკითხს და უშუალოდ მიემართება წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფალ გარემოში წარმართვის შესაძლებლობას. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლით, მოიცავს კანდიდატებისა და პოლიტიკური სუბიექტების უფლებას, მოაწყონ წინასაარჩევნო შეხვედრები და ამომრჩეველთან ჰქონდეთ პირდაპირი კომუნიკაცია.[70] მართალია, პაქტი დასაშვებად მიიჩნევს შეკრების თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვებს საზოგადოებრივი წესრიგის, ეროვნული უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, თუმცა ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს კანონით გათვალისწი-

[66] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-14 მუხლი.

[67] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია: წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში“, თბილისი, 2025, გვ. 87, 90, 99, 134-136, 144.

[68] OSCE/ODIHR, 2024, გვ. 16-17, 28.

[69] OSCE/ODIHR, *Georgia, Parliamentary Elections, 26 October 2024: ODIHR Election Observation Mission Final Report*, Warsaw, 20 December 2024, pp. 1, 5, 7.

[70] UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations Treaty Series, vol. 999, p. 171, Art. 21.

ნებული, აუცილებელი და პროპორციული. შესაბამისად, წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლა, პოლიტიკური ნიშნით ძალადობა ან კანდიდატებისა და მხარდამჭერების დაშინება არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების დარღვევაა, არამედ საარჩევნო კონკურენციის სამართლიანობასაც აზიანებს.

საარჩევნო უბნებზე ან მათ მიმდებარედ არაუფლებამოსილი პირების ყოფნა, ამომრჩეველთა აღრიცხვა და გადაადგილების კონტროლი ქმნის თვალთვალისა და ანგარიშვალდებულების განცდას, რაც თავისუფალი ნების გამოვლენას აფერხებს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც ამომრჩეველი ეკონომიკურად ან ადმინისტრაციულად დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურებზე, დამსაქმებელსა ან ადგილობრივი გავლენის ქსელებზე. ასეთ პირობებში მოქალაქეს შეიძლება გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მისი საარჩევნო ქცევა კონტროლდება და შემდგომში შეფასდება.

8. ხმის ფარულობა

ხმის ფარულობა თავისუფალი არჩევნების ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამომრჩევლის ვინაობა არ უნდა დაუკავშირდეს მის მიერ გაკეთებულ არჩევანს არც ხმის მიცემამდე, არც კენჭისყრის დროს და არც კენჭისყრის შემდეგ. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში, რომლებშიც ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა დაკავშირებულია პერიოდულ, ნამდვილ და ფარულ არჩევნებთან.[71] ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში №25 ასევე მითითებულია, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტიანი ზომები ფარული კენჭისყრის მოთხოვნის დასაცავად.[72]

ფარულობის მიზანი მხოლოდ ბიულეტენის შინაარსის დამალვა არ არის. ის იცავს ამომრჩეველს კორუფციისგან, იძულებისგან, ზეწოლისგან და ნებისმიერი ისეთი კონტროლისგან, რომელმაც შეიძლება მის თავისუფალ არჩევანზე გავლენა მოახდინოს.[73] თუ ამომრჩეველს აქვს შიში, რომ მისი არჩევანი შეიძლება ცნობილი გახდეს ხელისუფლებისთვის, დამსაქმებლისთვის, პოლიტიკური ჯგუფისთვის, ოჯახის წევრისა ან სხვა პირისთვის, კენჭისყრის ფორმალური პროცედურა შინაარსობრივად კარგავს თავისუფალი ნების გამოხატვის ფუნქციას.

ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსით ხმის ფარულობა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული წესით არის დაცული: ხმის მიცემა უნდა იყოს ინდივიდუალური; ოჯახური ხმის მიცემა და ერთი ამომრჩევლის მიერ მეორის არჩევანის კონტროლი უნდა აიკრძალოს; არ უნდა გამოქვეყნდეს იმ პირთა სია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში; ფარულობის დარღვევას უნდა მოჰყვეს შესაბამისი სანქცია.[74] შესაბამისად, ფარულობის დაცვა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ამომრჩევლის

[71] UN General Assembly, Universal Declaration of Human Rights, 10 December 1948, 217 A (III), Art. 21(3); UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171, Art. 25.

[72] UN Human Rights Committee, General Comment No. 25: The Right to Participate in Public Affairs, Voting Rights and the Right of Equal Access to Public Service, CCPR/C/21/Rev.1/Add.7, 12 July 1996, para. 22.

[73] Manuel Wally and others, International Obligations for Elections: Guidelines for Legal Frameworks, International IDEA, 2014, p. 43.

[74] Venice Commission, Code of Good Practice in Electoral Matters, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guidelines I.4.a-d.

პირადი უფლება, იგი არის მთლიანი საარჩევნო პროცესის სანდოობისა და ლეგიტიმურობის წინაპირობა.

ფარულობის პრინციპის დაცვა ასევე მნიშვნელოვანია არჩევნებზე ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების შემთხვევაშიც. სახელმწიფოებს სრული დისკრეცია აქვთ, გადაწყვიტონ, როგორი მოდელით ჩაატარებენ არჩევნებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საარჩევნო პროცესი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. ტექნოლოგიების დანერგვა, სათანადო გარანტიების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ხელს უწყობდეს ადმინისტრირების ეფექტიანობასა და დათვლის სიზუსტეს. თუმცა, თუ ტექნიკური დიზაინი, ბიულეტენის ფორმა, მარკერის ხარისხი, უბნის მოწყობა ან აპარატში ბიულეტენის მოთავსების წესი ამომრჩევლის არჩევანის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ქმნის, პრობლემა უკვე ხმის ფარულობის სტანდარტს უკავშირდება. სწორედ ამიტომ, ვენეციის კომისიამ და OSCE/ODIHR-მა საქართველოს, საარჩევნო კანონმდებლობაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან მიმართებით, მიუთითეს, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებისას აუცილებელია ყველა ზომის მიღება, რათა ხმის ფარულობა იმავე დონით იყოს უზრუნველყოფილი, როგორც ტრადიციული კენჭისყრის პროცესში.[75]

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა ხმა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მისცა.[76] ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ არაერთ უბანზე გამოვლინდა ბიულეტენზე მარკერის კვალის უკანა მხარეს გადასვლის პრობლემა. როდესაც ამომრჩეველი ასეთ ბიულეტენს ხმის მთვლელ აპარატში ათავსებდა, არსებობდა რისკი, რომ იქ მყოფ პირებს ან უბანზე განთავსებულ ვიდეოკამერებს ვიზუალურად აღექვათ ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი. ეს არ იყო მხოლოდ ცალკეული ტექნიკური ხარვეზი, არამედ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებდა.[77]

ამ სისტემური ხარვეზის გამო, საიამ მასშტაბური სამართლებრივი დავა წამოიწყო. ორგანიზაციამ საჩივრები წარადგინა საქართველოს ყველა 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში და მოითხოვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების 2263 უბნის შედეგების ბათილობა. საჩივრების დაუკმაყოფილებლობის შემდეგ დავა გაგრძელდა ყველა შესაბამის ეროვნულ სასამართლო ინსტანციაში, ხოლო ეროვნული სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შემდგომ საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც იყო წარდგენილი.

ფარულობის პრინციპის დარღვევაზე ყურადღება გამახვილებულია ეუთო/ოდირის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც, ელექტრონული მოწყობილობების არაეფექტიანმა გამოყენებამ, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო ინსტრუქტაჟით იყო გამოწვეული, უბნების არაჯეროვანმა მოწყობამ და გადატვირთულობამ, მმართველი პარტიის მიერ დამონტაჟებულმა კამერებმა და ბიულეტენების გაჟონვამ ხმის ფარულობა პოტენციურად დაარღვია მისიის მიერ დაფარული უბნების 24%-ში.[78]

---

[75] Venice Commission and OSCE/ODIHR, Joint Opinion on Draft Amendments to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens, CDL-AD(2022)047, Strasbourg, 19 December 2022, para. 41.

[76] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საარჩევნო დავების ანგარიში: საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები", თბილისი, 2025, გვ. 5.

[77] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია: წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში", თბილისი, 2025, გვ. 136-137.

[78] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024) page 4, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 31.05.2026.

ამდენად, ხმის ფარულობის დარღვევა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ იმით, დადასტურდა თუ არა კონკრეტული ამომრჩევლის ნების ფაქტობრივი გამჟღავნება. საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერებისთვის პრობლემურია თავად ისეთი გარემოს არსებობაც, რომელიც ამომრჩევლის არჩევანის იდენტიფიცირების რეალურ შესაძლებლობას ან ამგვარი კონტროლის გონივრულ შიშს ქმნის. ასეთ ვითარებაში ამომრჩევლის ნება შეიძლება ფორმალურად გამოხატული იყოს, მაგრამ მისი თავისუფლებისა და ნამდვილი არჩევანის გარანტია არსებითად სუსტდება. შესაბამისად, ხმის ფარულობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ამომრჩევლის თავისუფალი ნების დაცვის, ზეწოლის პრევენციისა და არჩევნებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ერთ-ერთი არსებითი გარანტია. ამ პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოში, სადაც პოლიტიკური პოლარიზაცია და ამომრჩეველთა კონტროლის პრაქტიკა ზრდის იმის რისკს, რომ მოქალაქემ საკუთარი არჩევანის დაფიქსირება უსაფრთხოდ და თავისუფლად ვერ აღიქვას.

III. მანიპულაციები კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცესში

9. მრავალჯერადი ხმის მიცემა

მრავალჯერადი ხმის მიცემა საარჩევნო გაყალბების ისეთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს კენჭისყრის შედეგებზე ხელოვნურ ზემოქმედებას, ხმების რაოდენობის უკანონო გაზრდის გზით. მრავალჯერადი ხმის მიცემა არღვევს დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - „ერთი ამომრჩეველი, ერთი ხმა“.[79] ამ პრინციპის მიზანია, თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდეს თანაბარი გავლენა არჩევნების შედეგზე და არცერთ პირს ან ორგანიზებულ ჯგუფს არ მიეცეს შესაძლებლობა, ხელოვნურად გაზარდოს საკუთარი საარჩევნო წონა.

მრავალჯერადი ხმის მიცემა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით: ერთი პირის მიერ რამდენიმე უბანზე ხმის მიცემით, სხვისი დოკუმენტით ხმის მიცემით, ამომრჩეველთა სიებში დუბლირებით, წინასწარ ორგანიზებული ჯგუფების სხვადასხვა უბანზე გადაადგილებით (ე.წ. „კარუსელის“ სქემით), ან ერთი ამომრჩევლის მიერ ერთზე მეტი ბიულეტენის მოთავსებით.

ამ ტიპის მანიპულაცია ხშირად ეყრდნობა ამომრჩეველთა სიების სისუსტესა და იდენტიფიკაციის არასაკმარის მექანიზმებს. ბიომეტრიული ან ელექტრონული იდენტიფიკაცია ამ რისკის შემცირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს, რადგან იგი ამომრჩევლის განმეორებითი მონაწილეობის ან სხვისი სახელით ხმის მიცემის გამოვლენას ამარტივებს. თუმცა, ასეთი სისტემა საარჩევნო კეთილსინდისიერების გარანტიად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი საიმედო, გამჭვირვალე, აუდიტირებადი და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტებთან შესაბამისია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნოლოგიურმა მექანიზმმა შეიძლება ერთი ტიპის მანიპულაციის რისკი შეამციროს, მაგრამ სხვა პრობლემები წარმოშვას - მათ შორის, ლეგიტიმური ამომრჩევლის გაუმართლებელი გამორიცხვა ან მონაცემთა არასათანადო გამოყენება.

მრავალჯერადი ხმის მიცემა შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე ფორმით. მისი ერთ-ერთი ფორმაა ერთი და იმავე პირის განმეორებითი მონაწილეობა კენჭისყრაში, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წინასწარ ორგანიზებული ჯგუფის მეშვეობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საუბარია ე.წ. „კარუსელის“ სქემაზე, როდესაც ერთი და იგივე პირები ან ჯგუფები სხვადასხვა საარჩევნო უბანზე გადაადგილდებიან განმეორებით ხმის მისაცემად. ასეთი პრაქტიკა, როგორც წესი, უკავშირდება ამომრჩეველთა სიებში დუბლირებულ ჩანაწერებს, რეგისტრაციის მონაცემების უზუსტობას, მარკირების ან იდენტიფიკაციის მექანიზმების სისუსტეს.

მრავალჯერადი ხმის მიცემის კონტექსტში განხილვის ღირსია სხვისი სახელით ხმის მიცემაც, როდესაც პირი სხვა ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტით მონაწილეობს კენჭისყრაში. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო შედეგში აისახება ხმა, რომელიც შესაბამის ამომრჩეველს თავად არ გამოუხატავს. ამგვარი მანიპულაციის ობიექტი შეიძლება გახდეს ისეთი ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებში საკუთარი გადაწყვეტილებით არ მონაწილეობს, ან ზეწოლის, იძულების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა თუ სხვა გარემოების გამო საარჩევნო უბანზე მისვლას ვერ ახერხებს.

---

[79] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters*, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guideline I.2.1.

ბიულეტენების ჩაყრა ხმების ხელოვნურად გაზრდის კიდევ ერთი ფორმაა. ამ შემთხვევაში, მანიპულაცია უშუალოდ საარჩევნო ყუთისა და ბიულეტენების კონტროლის პროცედურებს უკავშირდება. მისი პრევენცია დამოკიდებულია ბიულეტენების გაცემის, აღრიცხვის, ყუთის დაცვის, დამკვირვებელთა წვდომისა და კომისიის წევრთა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობაზე.

მრავალჯერადი ხმის მიცემისა და ბიულეტენების ჩაყრის მსგავსი დარღვევების მნიშვნელობა მხოლოდ უკანონოდ დამატებული ხმების რაოდენობით არ იზომება. მაშინაც კი, თუ ასეთი ფაქტები მხოლოდ რამდენიმე საარჩევნო უბანზე გამოვლინდება, ამან შეიძლება უნდობლობა გამოიწვიოს მთლიანად პროცესის მიმართ, რადგან ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ამგვარი პრაქტიკა იყო იზოლირებული შემთხვევა, თუ არსებობდა მისი უფრო ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, ასეთ დარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირება არ უნდა შემოიფარგლოს ფორმალური განმარტებებით. რეაგირება უნდა იყოს სწრაფი და ეფექტიანი. მართალია, თანამედროვე საარჩევნო პრაქტიკაში არჩევნების უშუალო მიმდინარეობისას გაყალბების აშკარა ფორმები, მათ შორის, ბიულეტენების ჩაყრა, საარჩევნო ყუთზე ზემოქმედება ან ე.წ. „კარუსელის“ სქემები შედარებით უფრო იშვიათად იკვეთება, თუმცა მათ შესაძლო გამოვლენას კვლავაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთი დარღვევები პირდაპირ ეხება ხმების თანასწორობას, შედეგების სანდოობასა და არჩევნების ლეგიტიმურობას.

10. ხმების დათვლა და შედეგების შეჯამება

ხმების დათვლა და შედეგების შეჯამება საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან სწორედ ამ ეტაპზე გარდაიქმნება ამომრჩეველთა ინდივიდუალური არჩევანი ოფიციალურ საარჩევნო შედეგად. ამასთანავე, საარჩევნო ციკლის ფარგლებში, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების ფაზა მიიჩნევა ჰიბრიდული რეჟიმებისთვის საარჩევნო შედეგების კორექტირების „ბოლო შანსად“. შესაბამისად, დათვლის პროცედურის სიზუსტე, კეთილსინდისიერება და გამჭვირვალობა პირდაპირ უკავშირდება არჩევნების სანდოობასა და ლეგიტიმურობას.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად არსებითია, რომ ბიულეტენების დათვლის პროცესს ესწრებოდნენ დამკვირვებლები, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლები და მათ ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, მონიტორინგი გაუწიონ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესს.[80]

ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების ეტაპზე ამომრჩეველთა მიერ გამოხატული ნება ზუსტად უნდა აისახოს შემაჯამებელ ოქმებსა და საბოლოო შედეგებში. ამ ეტაპზე მანიპულაცია შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: ოქმების შეცვლით, ბათილი ბიულეტენების არასწორი კლასიფიკაციით, ხმების დათვლისას პროცედურების დარღვევით, ციფრული შედეგების გადაცემის გაუმჭვირვალობით, საჩივრების განხილვისას მტკიცებულებების იგნორირებით ან ეფექტიანი გადამოწმებისა და აუდიტის შეზღუდვით.

[80] Venice Commission, Code of Good Practice in Electoral Matters, CDL-AD(2002)023, Strasbourg, 23 May 2003, Guideline I.3.2.xiii; Democracy Reporting International and The Carter Center, Strengthening International Law to Support Democratic Governance and Genuine Elections, 2012, p. 46.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) სტანდარტით, ხმები უნდა დაითვალოს უშუალოდ უბანზე და კენჭისყრის დასრულებისთანავე,[81] ვინაიდან ნებისმიერი პაუზა ან ბიულეტენების დაუთვლელ მდგომარეობაში ტრანსპორტირება ქმნის ე.წ. „შავ ხვრელს“, რაც რეჟიმს აძლევს დროსა და სივრცეს ყუთების ფიზიკური ჩანაცვლებისა ან მასში ბიულეტენების მიზანმიმართული ჩაყრისთვის.

ანალოგიურად, მანიპულაციის რისკს ზრდის ხმების დათვლამდე აუცილებელი საკონტროლო პროცედურების უგულებელყოფა. ყუთის გახსნამდე გამოუყენებელი ბიულეტენების დათვლა/დაცვა, ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების ზუსტი აღრიცხვა და ბიულეტენების რაოდენობრივი ბალანსის შემოწმება აუცილებელია იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს დათვლის პროცესის კონტროლი და შედეგებში პოსტფაქტუმ ჩარევის პრევენცია.[82]

უზრუნველყოფილი უნდა იყოს უბნის შემაჯამებელი ოქმების დაუყოვნებლივი საჯაროობა და ასლების გადაცემა დამკვირვებლებისთვის.[83] ამასთანავე, საჭიროა უბნების და ოლქების მიხედვით დანაწევრებული მონაცემების მყისიერი გამოქვეყნება.[84] მხოლოდ ჯამურად აგრეგირებული ციფრების გასაჯაროება მალავს შეუსაბამობებს რეალურ ოქმებსა და ელექტრონულ ბაზას შორის, რაც საზოგადოებას ართმევს საარჩევნო შედეგების ვერიფიკაციის ქმედით ბერკეტს.

საარჩევნო შედეგი ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არა მხოლოდ სწორად არის დათვლილი, არამედ, თუ ამის დადასტურება ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია.

ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების ეტაპზე პროცედურული გარანტიების მნიშვნელობას კარგად აჩვენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Davydov and Others v. Russia*. საქმე ეხებოდა 2011 წლის 4 დეკემბრის არჩევნებს სანქტ-პეტერბურგში, სადაც მომჩივნები - ამომრჩევლები, კანდიდატები, კომისიის წევრები და დამკვირვებლები - ამტკიცებდნენ, რომ საუბნო დონეზე შედგენილი პირველადი შედეგები ზემდგომ კომისიებში გადათვლისა და შეჯამების პროცესში ხელოვნურად შეიცვალა მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მათი განმარტებით, ზოგიერთ უბანზე პირველადი ოქმები ჩანაცვლდა ახალი მონაცემებით, რამაც გაზარდა მმართველი პარტიის შედეგები და შეამცირა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა.

სასამართლოს შეფასებით, მომჩივნებმა წარმოადგინეს დასაბუთებული საჩივარი, რომ დათვლისა და გადათვლის პროცედურამ არსებითად დააზიანა არჩევნების სამართლიანობა. ყურადღება გამახვილდა გადათვლის ფართო მასშტაბზე, მისი დანიშვნის გაურკვეველ საფუძვლებზე, პროცესის გამჭვირვალობის ნაკლებობაზე, პროცედურული გარანტიების დარღვევასა და იმ გარემოებაზე, რომ გადათვლის შემდეგ მმართველი პარტიის საარჩევნო შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კომისიებმა, პროკურატურამ და სასამართლოებმა მომჩივნების საჩივრები არსებითად არ შეისწავლეს და, უმეტესად ფორმალურ საკითხებზე დაყრდნობით, უარი თქვეს მათ განხილვაზე.

---

[81] OSCE/ODIHR *Elections Observation Handbook*, 6th ed., Chapter 17.

[82] European Commission, *Handbook for European Union Election Observation*, 2nd ed., Brussels, 2008, pp. 81–83

[83] Venice Commission, *Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines, Explanatory Report and Interpretative Declarations*, Council of Europe, 2025, Guideline I.3.2.xiii and Explanatory Report, section 3.2.2.4.

[84] OSCE/ODIHR, Handbook for the Observation of Information and Communication Technologies (ICT) in Elections, Warsaw, 2024, pp. 86–87.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კენჭისყრისა და დათვლის ტექნიკურ ეტაპზე დაშვებული ნებისმიერი შეცდომა, თავისთავად, არ ნიშნავს თავისუფალი არჩევნების უფლების შეზღუდვას. თუმცა, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი დგება მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი პროცედურული გადაცდომების მტკიცებულება, რომლებსაც შეუძლია ამომრჩეველთა ნების უხეში დამახინჯება, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ასეთ მნიშვნელოვან და დასაბუთებულ საჩივრებს ეფექტიანად არ განიხილავენ. სწორედ ამ მიზეზით, სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა.[85]

დასკვნა

საარჩევნო მანიპულაციების ანალიზი აჩვენებს, რომ არჩევნების სამართლიანობის შეფასება ვერ შემოიფარგლება მხოლოდ კენჭისყრის დღის ტექნიკური წესრიგით ან საბოლოო ოქმების სიზუსტით. მანიპულაცია შეიძლება გამოვლინდეს როგორც აშკარა და პირდაპირი გაყალბების ფორმით - ბიულეტენების ჩაყრით, მრავალჯერადი ხმის მიცემით, დათვლის ან შედეგების შეჯამების პროცესში ჩარევით - ისე უფრო რთულად იდენტიფიცირებადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და საინფორმაციო მექანიზმებით. ასეთ შემთხვევაში, არჩევნების შედეგზე ზემოქმედება ხშირად იწყება კენჭისყრის დღემდე გაცილებით ადრე და უკავშირდება საარჩევნო წესების ფორმირებას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მედიაგარემოს, პოლიტიკური დაფინანსების უთანასწორობას, ამომრჩეველზე ზეწოლას, ხმის ფარულობასა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის ეფექტიანობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ფორმალური კანონიერება ყოველთვის არ ნიშნავს საარჩევნო სამართლიანობას. ცალკეული პრაქტიკა შეიძლება პირდაპირ არ არღვევდეს კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას, მაგრამ ფაქტობრივი ეფექტით ამცირებდეს პოლიტიკური კონკურენციის თანასწორობას, აძლიერებდეს მმართველი ძალის უპირატესობას ან ზღუდავდეს ამომრჩევლის თავისუფალი ნების ფორმირებას. შესაბამისად, საარჩევნო კეთილსინდისიერების შეფასებისას გადამწყვეტია არა მხოლოდ კითხვა, დაირღვა თუ არა კონკრეტული პროცედურა, არამედ ისიც, მოახდინა თუ არა შესაბამისმა ქმედებამ ან ინსტიტუციურმა მოწყობამ არსებითი გავლენა საარჩევნო გარემოს სამართლიანობაზე.

საარჩევნო მანიპულაციების ეფექტი ხშირად კუმულაციურია. ცალკე აღებული, დარღვევა, შესაძლოა, შეზღუდული მასშტაბის ჩანდეს, მაგრამ მედიის სისტემური მიკერძოება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩეველზე ზეწოლა, ხმის ფარულობის არასაკმარისი დაცვა, დათვლის პროცესის ხარვეზები და საჩივრების ფორმალისტური განხილვა ერთობლივად ქმნის საარჩევნო გარემოს დეფორმაციის რისკს. სწორედ ამიტომ, საარჩევნო პროცესის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ კენჭისყრის დღის იზოლირებულ დაკვირვებას, არამედ მთლიანი საარჩევნო ციკლის ანალიზს.

ამომრჩევლის თავისუფალი ნება რჩება საარჩევნო კეთილსინდისიერების ცენტრალურ კრიტერიუმად. არჩევნები ვერ ჩაითვლება თავისუფალ და კონკურენტულ პროცესად, თუ ამომრჩეველი არჩევანს აკეთებს არასრული ან მიკერძოებული ინფორმაციის, მატერიალური დამოკიდებულების, დაშინების, სამსახურის დაკარგვის შიშის,

[85] *ECtHR, Davydov and Others v. Russia, no. 75947/11, 30 May 2017.*

სოციალური ზეწოლის ან ხმის ფარულობის დარღვევის პირობებში. ამ თვალსაზრისით, არჩევნების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, სწორად იყო თუ არა დათვლილი ბიულეტენები, არამედ იმაზეც, რამდენად თავისუფლად და თანასწორ გარემოში ჩამოყალიბდა ამომრჩევლის პოლიტიკური ნება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა. თუ საარჩევნო დარღვევებზე რეაგირება დაგვიანებულია, შერჩევითია, ზედაპირულია, ან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ეს თვითონვე აძლიერებს მანიპულაციის რისკს და ამცირებს საზოგადოების ნდობას. ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, სამართალდარღვევებზე მიუკერძოებელი რეაგირება და შედეგების გადამოწმების შესაძლებლობა აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ არჩევნების შედეგები საზოგადოებისთვის სანდო და ლეგიტიმური იყოს.

საბოლოოდ, დემოკრატიული არჩევნების დაცვა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივი ჩარჩოს სტაბილურობას, საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმს, სასამართლოს მიუკერძოებლობას, მედიის პლურალიზმს, ადმინისტრაციული რესურსის მკაცრ კონტროლს, პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობას, ხმის ფარულობის რეალურ გარანტიებს და ეფექტიან სამართლებრივ რეაგირებას. მხოლოდ ასეთი სისტემური მიდგომა ამცირებს საარჩევნო მანიპულაციის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს, რომ არჩევნები იყოს არა მხოლოდ ფორმალურად ჩატარებული პროცედურა, არამედ რეალური დემოკრატიული კონკურენციისა და ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვის მექანიზმი.